




ქართული საზოგადოებო

ავთოგვრთ სალიტერატუროთ აქერნალი

№ 34. — 1914

26 ოქტომბერი



ქართული თეატრი. (წინა ხარა)



1. მეთაური: ა) წინ თუ უკან? 1
ბ) მაშ რა ვქნათ? 2
2. სოსო ყივთხველი—როდემდის? 3
3. ივ. გომართელი—მოთხრობა: სიყვარული (დასასრული) 3
4. ილ. მოსაშვილი—ელეგია, ლექსი 4
5. თავუნა—ზოგისა ბამბაც ჩხრი-ალეგს... (დასასრული) 5
6. ი. კარგარეთელი—ქვეყნის მანათობელი: | ვიღღა ფერბერო 6
7. დარია ახვლედიანი—შემოდგომის პირას, ლექსი 7
8. რ. ჯიბილ—„ქართული ენის შესტავლა“ (გურული სცენა) 7
9. კირ. მაჭარაძე—პირველად ბრძოლის ველზე 8
10. თ. იანელი—ობოლი სული—მ. ლერ-მონტოვი 10
11. ილია რუხაძე—კენესა სულისა ლექსი 12
12. ქართული სახიობა: 13
 - ა) წი—ქართული წარმოდგენა,
 - ბ) უსავენო—აკაკი ავლაბრის სახალხო თეატრში
 - გ) მებობარი—სახალხო სახლი
 - დ) L.ami—ქუთაისის თეატრი
 - ე) სანი—ბაქოს დრამ. წრე
13. შემოწირულება ქართულ თეატრის ასაშენებლად 13
14. წერილი ამბები 16

რედაქციის დროებითი ბინა იმყოფება „სორა-ზანი“-ს სტამბის კანტონაში (მადათოვის კუბიულზე, № 1). სარედაქციო საქმეებსე მოღვაწეებსე შეიძლება დიდით 9—2 ს., საღამათი 5—7 ს.

უპრ. „თეატრი და ცხოვრება“ 5 ქო-ღან ამ წლის ბოლომდე გაცხავნით ჭღარს **ორი (2) მ.** ფული და მასალუბი უნდა ვამოცხავნოს: Тиф-ლისь, ред. жур. „Театри да Цховреба“—**Иос. Имедашвили.**

ახალი გამოცემა იოს. იმედაშვილისა № 52 დაიბეჟდა და გასასყილად გამოვიდა **ტრ.** რამიშვილის ახალი სამ-მოქმედებიაი დრამა

დ ე ღ ი ნ ა ც ვ ა ლ ი

ფასი 20 კ., ვინც ნაღდად ავიდას ათს წიგნზე მეტს, დაუთმობა 30%/. საწეობა „თეატრი და ცხოვრების“ რედაქციაში. მისამართი: Тиф-ლისь, ред. „Театри да Цховреба“—**Иос.** (10—1)

მქ. ი. გოგართალი

უკვე თბილისს დაბრუნდა. ავადმყოფებს. მიიღებს ახალ ბინაზე (ანსტასიევის ქ. № 8, ვერისკენ) დიდით 8—11 ს., საღამოთი 5—7 ს.

ტელეფ. 6-33.

შექსპირი ქართულად!

გამოცემა ივანე მაჩაბლის თარგმანებისა.

მიიღება ხელისმოწერა ივანე მაჩაბლის მიერ წათარგმნ **შექსპირის** რვა ტრადიციის გამოცე-მეფერიო, მაკბეტი, იულიოს კეისარი, ანტონიუს და კლეოპატრა, კორიოლანოს და რიჩარდ მესამე.)—გამოცემა იქნება ერთ წიგნად და შეიცავს ათასამდე გვერდს, დიდი ფორმატისას. გამოცემას დაერთვის ბიოგრაფიები შექსპირისა და ივანე მაჩაბლისა და მათივე სურათები.—ფასი ხელის მოწერით: 3 მან. შემდეგ ფასი გადიდებული იქნება. ვისთვისაც ერთად ფასის გადახდა სამიშობა.—მათთვის ხელისმოწერა განაწილებოლია სამს ვადალ: პირველი შემოსატანი —1 მან., მეორე—პირველ ნოემბერს—1 მან. და მესამე—1 მან. 7 იანვარს 1915 წელს.

წიგნი დარიგდება 1915 წლის განმავლობაში. ხელისმოწერა მიიღება თბილისში: ქართ. შორის წერაკითხვის საზოგადოების გამავრცელებელ მალაზიაში, და გამომცემლის საკუთარ ბინაზე (ოღვის ქუჩა, 52) „თეატრის და ცხოვრების“ რედაქციაში (ქართ. თეატრში) და ქუთაისში მთავრიწვილისა და ოცხელის წიგნის მალაზიებში.

გამომცემელი კნ. ანასტასია ალექსანდრეს ასული მაჩაბლისა.



№ 34

წ. 11

წლიურად 5 მ., ნაწევარ წლით 3 მ., ცალკე ნომერი 10 კ. ხელის მოწერა მიიღება ქართლში, საზოგ. კანტორაში და „სორაბან“-ის სტამბაში. მისამართი: Тифлиси, ред. „Театри да Цховრება“ Юс. Имедашвили

ხელ-მოწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—ხელთნაწევები საჭიროებისამებრ შესწორდება.—რედაქტორთან პირისპირ მოლაპარაკება შეიძლება „სორაბანის“ სტამბის კანტორაში—დილით 9—2 ს., ხალამოთი 5—7 ს., ტელეფონი № 15-41

26 ლვინობა ითვა

წინ თუ უკან? წინსვლა სიციცხლეა, უკუვრდომა ანუ ერთ აღვლილს გაჩერება.—სიკვდილი.

ბევრისათვის ეს კეწმარტება ჯერ კიდევ საცილობელი ყოფილა

ი, თუ არა:

ამ დღეებში ადგილობრივ გაზეთებში გამოცხადდა—ქართ. დრამ. საზ. გამგეობამ გადასწყვეტა დასი დაითხოვოსო.

ეს მაშინ, როდესაც ქართ. დრამ. საზოგადოებას უნდა ედღესასწაუღინა თავისი არსებობისა და სეზონის წარმოების 35 წლის თავი.

ეს მაშინ, როდესაც სრულიად საქართველოს სცენის მოღვაწეთა კრილობის კამათი მოისმინა, ახალი დასი შეადგინა და სასცენო ხელოვნების ახალ გზაზე გატარება გადასწყვეტა.

ეს მაშინ, როცა დასში სულ ახალგაზღვანი შემოიკრიბა, ბევრი უცხო მხრიდან მოწვეული, რომელთაც, ჩვეულებისამებრ, წელიწადში მხოლოდ ხუთი თვის არსებობის სახსარი აღუთქვა.

რა მოხდა?

ნუ თუ მარტო ისა, რომ თეატრი დაეწვა, შემოსავალი შემოაკლდა?

ამ შემთხვევაში ხომ სახსრის გამოძებნა, საშუალებათა გამონახვა საჭირო (ფულის შოვნა, ადგილების ფასების დაკლებით ხალხის მოზიდვა, საგულისხმო რეპერტუარის შექმნა) და არა უკან დახევა.

რა უნდა ჰქმნას დასმა და მის ანაბრად დარჩენილმა ქართულმა სასცენო ხელოვნებამ თბილისში?

ნუ თუ გამგეობას დაეწყდა, რომ წრევანდელი დასის შედგენა განსაკუთრებულ მიზნით მოჰხდა—რაც უნდა ნივთიერი ზიანი მოჰხვლოდა, გამგეობას საგანგებოდ შემუშავებული რეპერტუარი ეწარმოებინა განსაკუთრებული ანსამბლით, რომ ახალი კვალი გაველო, ქართული სასცენო ხელოვნება ახალ გზაზე გამოეყვანა? რაც უნდა დასჯდომოდა, ახალი სამხატვრო გემოვნება გამოეჩინა, საკუთარი აუდიტორია შეექმნა და მხოლოდ კასის აწვე-დაწვევითარ ეხელმძღვანელა? ერთი სიტყვით, ხელი შეეწყო ქართული დრამატული ხელოვნების განვითარებისათვის...

დაშლილმა დასმა ხომ უნდა შეადგინოს ამხანაგობა წარმოდგენების სამართავად და შემოსავლის გადიდების მიზნით, ხშირად ხელოვნების მოთხოვნილებათა საზიანოდ, პიესები და წარმოდგენები მაყურებელთა იაფ გემოვნებას შეუფარდოს?!

ანუ ამ მხრივაც რომ არა ჰქონდეს დასს შემოსავალი, მაშინ ხომ უნდა განიფანტნენ: უფრო სევბედნიერნი საღმე ფარდულეებს შეეფარნენ, ხოლო ნაკლებ ბედნიერთ შიმშილით დლიონ დღენი თვისნი სამშობლო სცენის მესვეურთა გმოხით?

და მეტიც ეს იქნება ქართ. დრამ. სასცენო ხელოვნების განვითარების ხელის-შეწყობა, აყვავება?!

აწ არსებულ დასს შეუძლიან მხოლოდ და მხოლოდ რიგიან ანსამბლით დადგმულ იდურ პიესებით მიიზიდოს მაყურებელი, ისეთი წარმოდგენებით, რომლებშიაც კერძო არტისტი-გმირები კი არ იბრწყინებენ, არამედ პიესის მთლიანობა—დგდა აზრი. ამ მხრით მუშაობა შესაძლოა მხოლოდ მაშინ, როდესაც დასს ექნება ბინა, ცხოვრების სახსარი, დამზიდებელი სული...

და თუ გამგეობამ ყოველივე ეს ვერ გაითვალისწინა და ერთის ხელის მოსმით ჰსურს ღიდი საქმის შეფერხებას, მაშინ ღრამ. სასოგადოების წევრთა დღევანდელმა სასოგადო კრებამ ყოველივე უნდა ასწონ-დასწონოს და ქართულ სასცენო ხელოვნებას ააცილინოს ის საფრთხე, რომელიც მოელის დასის დათხოვნით...

ბატონებო, ღიდი ხანი არ არის, რაც ჩვენმა სცენამ ახალ გზაზე წინ გადასდგა ნაბიჯი და ნუ თუ ახლა უკან დაახევინებთ, ანუ ერთ ადგილზე გაიყინებთ?

ხოლო თუ სასოგადო კრებაც გამგეობის გადაწყვეტილებას დაეთანხმა, მაშინ, რაღა თქმა უნდა, თვითონ დასმა უნდა იკისროს მძიმე ტვირთის — წრევანდელი სეზონის — გაძლიერებული შერთებულის ძალით და არა დაქსაქსებით.

წინ, წინ ისწრაფეთ და არა უკან!..

მაგრამ იქნება ბევრმა შემოგვიხანოს — რაღა ღრამ დასი და წარმოდგენებია, ვერა ხედავთ ომიანობამ ჩვენს სამშობლოს უწყია?

ამან არ უნდა შეგვაფერხოს.

მაშ რა მკნათ?

მართალია ომიანობის ლეგონდრულბლები ჩვენს სამშობლოსაც ჩამოაწვა, მართალია ჩვენმა მრავალტანჯულმა სამშობლომ 150-200 ათასამდე რჩეული ვაჟკაცი გაგზავნა ბრძოლის ველზე და დღეს ახალი განსაცდელი მოგველის. მაგრამ ამით სასოწარკვეთილებას არ უნდა მივცნეთ... ჩვენი სამშობლო მრავალ საუკუნეთა განმავლობაში არა ერთ გზის ყოფილა სთამაშო ბურთად გადაქცეული, მაგრამ... აწყალნი წასულან, მოსულან — ქვიშანი კი დარჩენილან!*

დაე, ივრგვინოს თოვ-ზარბაზანმა, ჩვენს მიანც ბრძნულის სიღინჯით, დამშვიდებულის გულით უნდა მოველოდინოთ მომავალს. და თუ ვაძმოლახეს ჩვენი ქვეყანა, შეხებენ ჩვენს მიწა-წყალს — მამულ-დედულს, ჩვენს სახლს და კარს, მაშინ ღიდაც, რომ წოდებისა დამიმართლებს განუჩრეველად ერთის გრძნობით — მამულის დაცვის გრძნობით — აღტყინდებით თველამცემთა პასუხის საგებლად და მამაპაპათასჯულე სავანეთა დასაცავად, თავის საპატრონოდ... მინამდეკი არ გვმართებს ადრევე გულის გახეთქა, დაქსაქსულობა, შიშო... დაე, ჩვენს წმიდა ტაძარში კვალად

ენთოს სიყვარულისა, თვითცნობიერებისა და წინსვლის ლამპარო...

თუ მესვეურ-პატრონი არ გვაპატრონობს, შენვე უნდა უპატრონო თავსა შენსა. ამიტომაც ჩვენმა მსახიობებმაც უნდა ისწავლონ საკუთარ ფეხზე დადგომა, თავის თავის პატრონობა!..



რ მ დ ე მ დ ი ს ? ! !

ვპ, ბელო ჩემო! ჩემს სიცოცხლეში სულ შენ ნებაზე მითამაშნია, მოგიკლავს ბევრი კარგი ნუგეში, ტკბილ ოცნებაზე გინავარდნია. სისხლისა ცრემლით დამწევი თვალები, გულზე მატყვია შენი ბრკალები.

ი. ჭავჭავაძე

რადან უსიდავო ძაღვის შეთხებით უბედურება კვალ და კვალ გვადევს, — იგი თავზარდამტეხის სმინელებით დაგვატყუებს სიღმე თავს, თითქოს ამითი ზურს გამოგვადნია და მოგვაგონოს ჩვენი დაქსაქსულობა, უმწეოდ გავმარტობა, ბედგული და შნავალ-ტანჯული სამშობლო და უნდა შეგვაერთოს ერთის გრძნობით და ერთის მისწრაფებით.

ამ დიდ გრძნობას განვიცდიდით, როდესაც ელვის სისწრაფით შევდგა საქართველოს ეოვედ კუთხეს დიდებულ ილიას ვერაგულად მოკვლის ამაგი და დაბდებულნი შეიღბა საქართველოსი, ერთის მწუხარებით შეერთებულნი, დაგტირდით ჩვენის მამაცის და აღმსრულების გვამს; ამავე გრძნობას განვიცდიდით ასლად, როდესაც დიდებულ ერთგულ ტაძრისაგან შეგვრჩა მხოლოდ-და ფერფლი და გაშურული კედლები. საქართველოს ეოვედ კუთხიდან გაისმის გლოვის ხანი, ეველს დასტირის თავის ერთგულ დანაკლის და გულ-ხათუქული გულსაკლავად გვადებს და კეთილება თავის ბედს: როდემდის?!*

დიდა ხნია ეს როდემდის? “არ მოწადება მის ბაგეთ და რაც დრო მიღის, მით უფრო ძლიერდება და მრისხანა იგი ამონაგვსისა.

აი, ერთხელ კიდევ გაისმა მრისხანედ მთელს საქართველოში გაერთიანებული ამონაგვნისი: “როდემდის?!“ და მრავალ-ტანჯულმა ერმა ამაყად გაუსწორა თვალი უღმობიელ ბედს, რადგანც იგრძნო ძალა ერთობისა და ერთიუღოყანობისა.

„ზღადაგინით დიდებული ერთგული ტაძარი!“ — გრვეინაგს ვეგლა ერთხმად: მისუცი და ჭაბუკი, ერთ თუ ბერი, თავადი თუ გლეხი, მუშა თუ ვაჭარი.

აი, სად ზრის ბენდირება!

დაიდა! უნდა აღსდგეს ის ტაძარი, სიდაც თავისუფლად გაისმის ვეგლგან დეენილი ქართული ენა, სიდაც ქართველი ქართველს ჭინსა სქაშის, სიდაც მშობლიური ჭინგები სულსა და გულს ესაბუნებთან, სიდაც წარსული, — სისილით და ცრემლით ნაბანი, — წარმოგვიდგება თავაწინ, განვიცდით აწმუთს და შარავანდედით მისილი იმედი დიდებულის მომავლისა გავვიშუქებს გზას.

ტაძარი იგი უნდა იყოს დაიდა! მის სიძირეკელს ძვირფას მარგალიტებად უნდა ეპყუროს მრავლად დაფრქეული ცრემლი ტანჯული ერისა, მის კედლებში უნდა ჩაიკითროს გამობრძედილი სული და გული ქართველი ხალხისა, იგი უნდა იყოს ის დაიდა ღამზარი, რომელიც გააშუქებს უფიცი ქართველის გულს და სწავაღის ერთბაზს და სიუფრულს.

ამიტომ შემოვიკრიბით ძალ-ღონე და ეთველმა ჩვენგანმა, რომელთაც ჭერ კიდევ ქართველური გული მკერდში გვიიფეთქს და ან შეგუნებათ შინაშიანი ნესტარი სიმინხჯისა და გიდაგარებისა, გამოვიდით წყლილი და ღვთაართით ეს დაიდა საფარი უფიცილი ქართველურისა, რომელსაც ჭაფიჭეთური ძალა შთანთქმის უქდაის.

ეს შემოწირულება კი ან ზრის, — ეს ზრის აუნდალებელი მოთხოვნილება უფიცილი ჩვენგანის არსებობასათვის; ეს ქველ-მოქმედება კი ან ზრის, — ეს ზრის შეგნება მოვალკობისა მომავლისადაში.

მას დაგეშურნეთ, განვიმსჯელნეთ ამ მადლის მისწრაფებით და იმედა, რაცხეთ ცოტანი, მაგრამ სულით ძლიერნი, შეკლებით დარბანი, მაგრამ გულით შიდაღანი, შეგქმნით საქმეს სასარკოს, — ღვთაართით დაიდა ტაძარს, რომლის სამსხვერპლოცადც ქურუმნი მირონცხებულ ერისანი შესწირავენ მსხვერპლს და მოუწოდებენ თავის სუფარულს ერს სინათლისა და ჭეშმარიტებისაკენ!

დაიდა! უნდა ღვთაართით სეთა ტაძარი!

სოსო უციოკარელი

ს ი ქ ვ ა რ უ ლ ი

(დასასრული იხ. გასულ კვირის ნომერი 33, თ. და ც.)

ნინა გარდაიცვალა.

გამოთუქმელმა სევიამ შებოკა მიზა, დანი-მორჩილა, დანიმონავა, მიწასთან გაასწორა. თმა და წვერი აებურძენა, უღლაშები ჩამოეფარცხა, ბეჭებში თითქოს მოიხარა, მუდამ მოწყენილი, მუდამ თავჩალუნული დადიოდა. მოტყდა, ხნიერს დამსგავსა, ტანისამოსიც შემოაძველდა. ამ ქვეყნად იმისთვის აღარაფერი აზრებობდა.

ბავში დედმამისთან გაგზავნა სოფელში. სახლის მოწყობილობა და ავეჯი სულ გაჰყიდა, ნინას შემდეგ მას აღარაფერი უნდოდა.

სასაფლაოს მახლობლად ერთი ოთახი დაიქირა, თავის სავექილო საქმეებს სრულეზით დაანება თავი და დიდიდან საღამომდე საყვარელ საფლავს აღარ შორდებოდა.

ერთადერთი მისი საზრუნავი, ერთადერთი საქმე ნინას საფლავი იყო. მალე მოაჯირი შემოავლო რკინისა და საუცხოვო მატური დაადგა, რომელზედაც ნინას სურათს ქვეშ ოქროს ასოებით იყო ამოკრილი:

მხოლოდ შენ იყავ ჩემი ღმერთი და სიხარული.

შენთან დავმარნე ჩემი გრძობა და სიყვარული.

მიზამ საფლავს თავს დააყენა მებაღე; ბუჩქები დაანერგა შიგ, ყვავილები დაათესია. ყოველდღე თვისი ხელით ასწორებდა მიწასა და სტკეპნიდა, დანაყილ აგურს აყრიდა, უბრალო მალახსა ჰგლეჯდა, მოაჯირს ტილოთი სწმენდა.

სისუფთავე და სიღამაზე ჰსუფევედა საფლავზე.

ღღე ღღეს მისიდედა, თვე თვეს. ორმა წელმა გაიარა,

მიზას გულში მწუხარება დარჩა, მაგრამ ცეცხლი, სისხოველე, სიმწვანე ამ მწუხარებისა ნელა-ნელა გაჰყვა წარსულს.

ამ ცოლდით სავსე ქვეყანაზე ყველაფერი ჰქრება: მზიარულობაც, მწუხარებაც.

ვინ იცის, იქნება ესეც სჯობდეს.

მიზომ თავის გარეგნობას ყურადღება მი-აქცია, სასამართლოსთან ახლოს გადმოსახლდა და საქმეებს ნელა-ნელა მოჰკიდა ხელი. თეატრში დაიწყო სიარული, საზოგადოებაში გაერია.

სასაფლაოზე დადიოდა, მაგრამ უფრო ძვირად. შებაღე დაითხოვა, რადგანაც დარწმუნდა, რომ ძვირად უჯღღებოდა, და სასაფლაოს დარაჯს მიანდო თვალყურის გდება.

დრო შეუჩერებლად მიდიოდა, მოჰქონდა და მიჰქონდა ერთის ბედნიერება, მეორისა უბედურება, ერთის მხიარულება, მეორის მწუხარება...

— როდესაც მე შენს გვერდით ვარ, როდესაც ვეხვევი და შენს სუნთქვას, შენს გულის ცემას ვგრძნობ, გამოუთქმელი ნეტარება დამივლის ხოლმე და ვგრძნობ, მთელის ჩემის არსებითა ვგრძნობ, რომ ასე ღრმად, ასე ძლიერად სიყვარული არასოდეს არ განმიცდია. ეუბნებოდა მიშა თალიკოს და ხარბად ეკონებოდა ტუჩებში.

თალიკოს მიშას ბეჭზე მიეყრდნო თავი, ტუჩებზე ღიმილი უთამაშებდა და ჩუმად, გამოუთქმელად სტებებოდა უმანკო ქალის პირველი სიყვარულით.

ერთი კვირის შემდეგ მათ ჯვარი დაიწერეს და იმ სიღამოსვე გასწიეს კირიმისაკენ.



ამას წინეთ ვასაფლავებდით ერთ მეგობარს. სასაფლაო სევდას ამიშლის ხოლმე, რადგანაც თვალწინ მიყენებს ამოებას ყველა ჩვენი მისწრაფებისას, სიფუტეს, არაარაობას მთელი ჩვენი ცხოვრებისას.

არ მინდა დავიჯერო, რომ ჩვენც, ჩვენი საქმენიც ისევე გავექებით, როგორც პატარა მქისი ბალახი საღმე ქვის ძირას ამოსული. სასაფლაოზე კი ყოველისფერი ყურებში ჩაგძახის: ეგ აგრეა, ეგ აგრეა; ბუნებისათვის შენც მქისი ბალახი ხარ, საბრალო, საცოდავი ყველა შენი ოცნებებით, რომელთა სახელი ამოვებაო.

— მიყვარს ძვრფისი საფლავნი, მაგრამ სასაფლაო არ მიყვარს, არა.

დაიწყეს სტყვების წარმოთქმა, რაც კირივით შეჯავრება.

რა საჭიროა ამისთანა დროს ეს რაღაც სიტყვები?

შენს წინაშე ცხედარია საყვარელი, ძვირფასი ადამიანისა. აგერ-აგერ მიწა უნდა მიყარონ. გაივლიან წლები, საუკუნენი, ათასი წლები, ასიათასი, მილიონი, მთელი მარადი-

სობა. შენ და ის კი ველაროდეს ველარ ნახავთ ერთმანეთს, ველარ მოესიყვარულებით, ველარ მოეღერებებით, ერმანეთს ველარ მოეხვევით, ველარ გაუცინებთ... სამინელი არაარაობის მძიმე ტვირთ ქვეშ ქედმოხრილი დგებარ და თავგაქინდრული, გამშრალი დასჩერებიახარ პირდაღებულ. მიწას ამ დროს კი ვილაც მჭერმეტყველობს! რათა, რისთვის, რა საჭიროა!

დავიწყე უაზროდ ბანდალი საფლავთა შორის და ზედწარწერას ვკითხულობდი.

ერთიდან მოაჯირის საკმაოდ მოჰკიდებოდა ენაგი. საფლავზე სქლათ ამოსულიყო მრავალნაირი უფარვისი ბალახი.

ეტყობოდა, საფლავისთვის კარგა ხანია, აღარავის მოეყო. შეეჩერდი წვიმისა და მტერისაგან ჩამომგებულ მატურს, რომლის ერთ მხარეს უძლივს გავარჩიე შ მდვეი წარწერა, რადგანაც ბევრი ასო ტალახით იყო ამოვსილი:

მხოლოდ შენ იყავ ჩემი ღმერთი და სისხრული.

შენთან დავმარხე ჩემი გრძნობა და სიყვარული.

— რატომ ამოდის და ჰხარობს ადამიანის საფლავზე მაინცადამაინც უბრალო ბალახი და არა კეკლუცი, ლამაზი სუნენლოვანი ყვავილი? გაეიფიქრე და გამოვბრუნდი უკან, რადგანაც საკმაოდ დავშორებოდი სხვებს.

ივ. ჯორჯიანი

მ ლ ე ბ ი ა

ღამეა ბნელი... სამშობლო მხარე წვეს სიზმრის კოშკზე და კვლად სძინავს... სძინავს სამშობლოს... სძინავს ტკიბილ ძილით, თუშუა ხანდისხან ოხრავს და გმინავს... სძინავს სამყაროს, — შორს ღმუის ქარი... ცაზე ვარსკვლავი ფერსა ჰლევს... ჰქრება... მხოლოდ მე მარტოდ ვზივარ სატკემლთან, ვფიქრობ და ველი, როს გათენდება!.,

ილ. მოხაშვილი





6. გოცირიძე ექიმ გრუშნევესკის როლში (ტრ. რამიშვილის „მეზობლებში“)

ზომის გზავას ჩხრილვს...

ახუ როგორ ვითამაშე მე ფრანც მოორის როლი?

(დასასრული.—იხ. გასული კვირის „თ. და ც.“ № 33)

მართლაც, რაც უფრო ახლოვდებოდა ბოლო, მით უფრო მემატებოდა სიძლიერე, უფრო და უფრო ღრტვინავდა ფრანცის საზიზრობით შეძრწუნებული საზოგადოება და მუქართა და ლანძღვით მიყვროდა.

მოაღწია თავის ჩამოხრჩობის მომენტ-მაც; საშინელის ბღავილითა და შეუღარებელის სიმარლით გადავბტი იმ ადგილისკენ, საცა თავი უნდა ჩამოქეხჩო, გადავბტი ისეთის სისწრაფით, რომ კუზი სცენაზე დავარდა; კატასავით შევარდი სტოლზე, მოვტრიალდი პარტერისკენ და დავინახე მაყურებელთა

გამხეცებული სახეები და ჩემკენ გამოშვერილი მუშტები.

—კმარა! კმარა! საზიზრობაა! ფარდა! ჩამოუშვით ფარდა!—გაიძახოდა ნერვებ-აშ-ლილი ხალხი.,

— არა, ჯერ არ კმარა!—ვამბობდი გულ-ში: ჯერ ბოლომდის ნახეთ და მერე მიეციეთ თავი მძვინვარებას!.

მოვნახე თოკის მარყუჯი, ჩამოვაცვი ზევიდან ჩამოშვებულ კავს, ვკაკარი სტოლს ფეხი და დავეკიდე. თავის სიმძიმემ დამძლია, თუ თამაშის ღროს პერანგის საყულო გამეხ-სნა და დაქიმული თოკი ველარ დავიკავა კი-სერთან - დავეკიდე წელით და არა კისრით. თოკი ძლიერ დავრებილი ყოფილიყო და, როცა სიმძიმე დააწვა, რღვევა იწყო და კი-ბრუტივით დამატრიალა. მე, რა თქმა უნდა, ყურადღებაც არ მივაქციე ამ წვრილმან გა-რემოებას და აუწყერელის ბუნებრივობით გადავცი მაყურებელთ ყელის საზარელი ხრია-ლი და ხიხინი. რა ვუყოთ მერე წელით რომ ვე-კიდე და არა კისრით! განა წელით დაკიდე-ბულისათვის ათასწილ უფრო ძნელი არ არის ჩამომხრჩვალ კაცის ილიუზის შექმნა?

დაეშვა ფარდა. ხალხის ღრიალს საზღვა-რი აღარ ჰქონდა. მე ჯერ კიდევ ვერ გამოვ-სულიყავ გატაცებისაგან.

— ახადეთ ფარდა! დავიღრიალე მე. განა უმადურობა და უზრდლობა არ იქნე-ბოდა ჩემის მხრით, რომ მაყურებელთ ერთაელ მაინცარ დავნახვებოდი? თუ არ აიხა-და ფარდა, ღრიალი და მსხვრევა გაათეცდებოდა. მე თოკიდან ჩამოსვლა ველარ მოვასწარი და ისევ ისე წელით დაკიდებული ვუკარავდი თავს ხალხს. უცებ სცენაზე დავარდა ერთი ლაყე კვერცხი, მას მოჰყვა მკორე, მესამე; წამოვიდა კარგა მოზრდილი კენჭები, ერთი თავშიც მომხვდა და შუბლი გამიკაწრა.

აუკარა იყო, ხალხი კიდევ ვერ გამორ-კვეულიყო და ჩასაქოლათაც არ ინდობდა ჩემ მიერ შექმნილ ფრანც მოორს.

როგორც იყო გავითავისუფლე თავი თოკისაგან და კულისებში გავიდი. გზაში ყველა იმ მუშებმა, წარმოდგენამდის რომ პატივისცემით და მორიდებით მეპყრობოდნენ,

პირი ამარიდეს და ზურგი შემაქციეს; ექვი არ იყო, კულისებშიაც ისეთივე შთაბეჭდილება მომეხდინა, როგორც პარტერში.

თეატრიდან გასვლა რომ დავაპირე, კარები დაკეტილი დამიხვდა. როცა ვუბრძანე, გააღეთ მეთქი, მეკარემ ზურგი შემაქცია და საშინელის ზიზღით მითხრა:

—არ გირჩევ გასვლას: იქ ხალხი გელოდება... მოგკლავენ!

რა გაეწყობოდა. იძულებული ვავხდი ის ლამე კულისებში გამეთია.

მეორე დღეს ბათომიდან წავედი. მესამე დღეს კი შემდეგი წერილი მივიღე:

„შვიდობით... ამ წერილს რომ მიიღებ, მე ცოცხალი აღარ ვიქნები. შენი ფრანცი ვნახე... მღზიზღები... თავს ვიხრჩობ!

შენი ნესტან დარეჯანი.“

საბრალო ჩემი სატრფო! ისიც ხელოვნების მსხვერპლი ვახდა.

მას აქეთ კარგა ხანი გავიდა, თითქმის 25 წელიწადი, და მხოლოდ შარშანწინ მიმიწვიეს მსახიობათ ქუთაისის სცენაზე. თითქო ბედმა გამიღიმა, მაგრამ მოეტყუველი: ვერც ამოდენა დროს წაყშალა ხალხის გულში ჩემი ფრანც მორის ზიზღის მომგვრელი სახე და იმ წარმოდგენებზე, რომელშიაც მე ვიღებდი მონაწილეობას, დარბაზი ცარიელი იყო ხოლმე. დაბოლოს მხოლოდ დედამა ჩემი, ჩემი ცოლშვილი და ორი ბიძა ესწრებოდა ამ წარმოდგენებს...

ღმერთმა უშველოსთ, თბილისის რეჟისორებმა დაფასეს ჩემი ნიჭი და წლევანდელ დასში ჩემი მოწვევა განიზრახეს, მაგრამ გამეგობამ საიდანღაც გაიგო, რომ თბილისში მხოლოდ ცოლშვილის ჩამოყვანას ვაპირებდი. დედამა ჩემი და ის ორი ბიძა კი ვერ ჩამოვიდოდნენ და გადაქრილი უარი მითხრა.

ახლა 4 კლასის ეგზემენებისთვის ვემზადები, მინდა აფთიაქში ვიშოვო მოწაფის ადგილი.

40 წლის კაცი — აფთიაქის მოწაფე! როდისღა უნდა გავხდე პროვინორი?!

ეს, რა გაეწყობა! ასეთი ყოფილა ჩემი ბედი! და შეურიგდე კიდევ მას, მაგრამ ერთი რამ ვერ გავიგე:

თუ ლაღო მესხიშვილისა ბაბმაც კი ჩხრიღებებს, ჩემსა კაკლს რაღა ღმერთი გაუწყრა?!...

თავუნა

ქვეყნის მანათობელი



ვილი ფერერო

სამწუხაროდ ჩვენ, პროვინციაში მცხოვრებნი, მოკლებულნი ვართ მრავალ იმ ღიღინიშვნელოვან და საგულისხმიერო მოვლენას ლიტერატურასა თუ ხელოვნებაში, რასაც სატახტო ქალაქებში საზოგადოე-

ბა აღტაცებაში მოჰყავს და ალაპარაკებს, აციუნებს და ატირებს; იქ ეს არაჩვეულებრივი მოვლენანი საზოგადოებას ღრმად აფიქრებს და გულის ყურში ავღებს; ჩვენთვის კი იგიინი შეუუმჩვევლად მიმდინარეობენ და ეძლევიან საუკუნეთა მსვლელობის დაუსრულებელ ტალღას.

სწორედ ერთ-ერთ ამ არაჩვეულებრივ მოვლენის მოწამენი იყვნენ წარსულ ზამთრის თვეებში რუსეთის სატახტო ქალაქების მცხოვრებნი, რომელზედაც გვინდა დღეს, — მოკლედ მინც არის, — გამოველაპარაკოთ ქართველ საზოგადოებას.

სამზღვარგართიდან დეკემბრის ბოლოში პეტროგრადს ეწვია ვინმე ფერერო თავის შვიდი-რვა წლის ვაჟით. რუსეთის დედა-ქალაქს პეტროგრადს ბევრი ფერეროებისთანავებისათვის გაუწვევია მასპინძლობა და ვინ რას მოელოდა, რომ ეს ვილაც, დღეს აქნობამდელ რუსეთისთვის უცნობი ფერერო, ახლა ამოდენა მითქმა-მოთქმას გამოიწვევდა ჟურნალ-გაზეთებსა თუ საზოგადოებაში, — განურჩევლად მიმართულებისა და წოდებისა.

საგანი ამ მითქმა-მოთქმისა იყო შვიდ-რვა წლის ფერერო, რომელმაც დაინტერესა უსწაველი თუ მეცნიერ-ნასწაველი, ჰაბუკი თუ ხანში შესული, მდიდარი თუ ღარიბი, ერი თუ ბერი, თავადი თუ გლეხი. ეს პატარა ბიჭუნა უადრესად დაუჯილდოვებია ბუნებას სამუსიკო ნიჭით; ამ უსუსურ კმნილების გულში შემოქმედს დაუმარხავს ეცესლი ჰენიოსობისა და გარდუქცევი ლოტბარად, — აი რას წარმოადგენდა ეს საზღაპრო ყრმა და რა იწვევდა დაუსრულებელ მითქმა-მოთქმას.

მართალია საზღვარგარეთიდან გაზეთებს ფერაროზე მოჰქონდათ ნაწყვეტ-ნაწყვეტი ცნობები, მაგრამ ახლა ნახულმა და მოსმენილმა მოლოდინს გადააქარბა; ამ განცვიფრების უსაზღვროებამ კი დაბადა დაუსრულებელი სჯა-ბაასი.

პატარა ვილლი, — ასე უწოდებენ ფერაროს, — ჯერ კიდევ ყრმაა, რომელსაც აინტერესებს ბურთები და სათამაშო ნივთები, მაგრამ რა შესდგავს ესტრადანზე ფეხს, იგი საამქვეყნო აღარ არის და ხმების ზღვითა ტალღებზე დასცურავს; ესტრადიდან იგი მზრძანებელია ასი-ორასი კაციან ორკესტრისა და განსწავლუნი, გაკალარავებულნი დამკვრელნი მუსიკოსნი მის სახის გამომეტყველებას და ჯოხის ქნევას სულ-განაბლუნი შეტყუებენ. საუკეთესო დამკვრელ-მემუსიკეთ ვერ აუხსნიათ ვერავისთვის, თუ რითი, რა ძალით მოქმედობს პატარა ვილლი მათზე ასე, ხოლო ამას კი განიცდიან, რომ იგინი გამსკვლეულნი არიან ერთადერთი სურვილით — რაც შეიძლება ღრმად მიხვდნენ მის სულის მოძრაობას და ზედმიწევნით აღასრულონ მისი განზრახვანი. უმესანიშნავესი თხზულებანი ჰენიოს მემუსიკეთა ამ პატარა ყრმისათვის სულ მარტივ რამეს წარმოადგენს და ორკესტრით ვილლი ამ თხზულებებს იმისთანა დინამიურ ეფექტების ფერადებით ჰქარგავს, რომელიც და რაც არც კი ესიზმრება ცოდნით აღტურვილ და საქმეში ჩახედულ მემუსიკე-ლოტბარს.

ამ შესანიშნავ ბავშვის განსაცვიფრებელი ასეთი ნიჭი უნებლიედ ჰბადავს კითხვებს: რა არის ვილლი ფერარო? სასწაულია იგი, რომელიც ასს წელიწადში შეიძლება ერთხელ მოველინოს კაცობრიობას, თუ ჩეულებრივი ნიჭის გამოჩენა მომავალი ჰენიოს მემუსიკესი? ამისთანა მოვლენას მალე განიცდის ხოლმე კაცობრიობა? რა მოელის მომავალში ამისთანა ყრმას, მის ჯანმრთელობას, — უდროვოდ ვახეება მსხვერპლი უღმობელ სიკვდილისა, თუ კაცობრიობა უნდა მოელოდეს მისგან ნაყოფიერ ცხოვრებას?

ი. კარგარეთელი

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

„ქართული ენის შესტავლა“

(გურული სცენა)

ბევრი ვიწოწივალე, ბევრი ხაზინი გამოვიცვალე და ბოლოს ჩავარი ქართველის ოჯახში მოსამსახურედ. ვიფიქრე, აქანე კა შევისტავლი ქართულ ენას ისე,ღმერთს რომ უნდა და კაცს მეთქი, მარა არ შეგქამოს გგელმა: ვისტავლო კი არა, რაც ვიცოდი, ივიც დამივიწყდა...

შაფათ საღამოს ბარიშნამ სარცეხიხა გამაგზანა და ასე დამიბარა: „სლუშია შენ წახვალ ვეგრისი სპუსკეა, „პრაჩეშნიაში“. ხომ გახსოვს ჩემი „მოლოკოვი რუბაშკა“ რომ დავუტოვე „ხიმიჩესი ჩისტკაშია“. „პაპას სარაჩკებია, „ფარატნიკები“, „ნავრუდნიკები“ „შინეტები“ და „მამას პერჩატკებიცა წამოილე. ამა, ფული და „კვინტანცია“ და „ზღაჩია, რომ მოგცეს, დასთვალე, „აშპაკათ“ არ მოხვიდე; „რუბლ ვოსემნაცატი“ გერგება, ფული კარვალ ვაშინჯე „ფალშივი“ არ იყოს. მერე იქიდან „კარგანოესია „პერეულკაში“ შეიარე „დეაცატ ნომერში“. მეორე ეტაპზე „ახვალ, იქ ვიზტნი კარტიჩკა პადიეზღე“ ზედ აწერია: „ზუბნოი ვრაჩია. დარეკე „ზვა-ნოკი“ და როცა „გორნიჩნა“ გამოვიდეს, უთხარია: ჩვენი ბარიშნა რომ იყო ამ „იმიენი-ნიცაზე“, ზონტკი დარჩა და მომეკითხო...

ერხანს უყურე, უყურე ამ სტავლა დასრულებულ—გაპარუსკებულ ბარიშნას და მერე ვიფიქრე ჩემთვის: აი კი თქვენ დავემართოს, კი ქართულს აქანევისტავლი მეთქო! წეველი ჩემს გზაზე. ქართველმა „ბარიშნამ“ უკანიდან მომადახა: „სლუში“ „ჩორნი ხოლი-დან“ ნუ მიხვალ, „პადიეზლიდან“ წადი და კარები „პლოტნათ“ მიიხურეო...

რ. ჯიბლი

„უამოღოშის პირას“

ველზე ჩამქნარა ტურფა ყვავილი, ირგელივ გაშლილა ნისლი, წყვლიადი, ბედიით ყორნის ისმის ჩხავილი, ცათა კიდეზე სჩანს განათიად. ცა, დედა-მიწა სამშობლოს კიდე, შეუჯაქენია ხვედრსა ტიალსა, სიცოცხლეს ხუთავს სიკვდილის რიდე და ქმუნვა მიაქვს სოფლის ტრიალსა...

ოხ, ვინ ჩააქრო სიცოცხლის სხივი, აწმყო ვინ მოჰკლა, ვინ დააბნელა? მოძმევ ტანჯულო, შენს ბედს შევიჩივი, ნუ თუ არ ძალგის შენივე შევლა?!

დავით ახვლედიანი

პირველად ბრძოლის ველზე

(ბრძოლის ველზე მომქმედ ჯარის კაცის ნაწერი)

მ ე უ ი



— ტრახ.. ტრახ .. ტრახ-ტრახ.. ბუხ .. ბუხ... ტზზზ .. წიუუუ..

ჯოჯოხეთური სიმფონია... გულშემზარავი მუსიკა... ქაოსი... თითონ არ ვიცი რა სახელით მოვინათლო... ხარბახანთა გრიალი... ტყვიის მტრქვეველთა ვანუწყებელი რახრახი; ტყე-ათა ზუზუნ-წუწუნი .. ქარი, წვიმა... სიბნელე... ყველა ერთმანეთში არეული თავზარსა სცემს აღამიანს .. ხან შიშისა ვგრძნობ, ხან თავდავიწყებას.. ხან კიდევ უეცრივ გამოვერკვევი, თითქოს საშინელ სიზმრებში

კირილე მაჭარაძე

მსახიობი ჯარის კაცი გამომადიდებეს, მაგრამ სინამდვილეს რომ ვხედავ, ჯავრი მომდის, სიბრაზისაგან ლამის არის დავიღრჩო... მინდა წამოვხტე ზეზე... გავექანო იმათკენ, საშინელ დამკვრელებსაკენ, რომ ეს გულშემზარავი მუსიკა შეაჩერონ... აი გიჟივით წამოვიქეპე ზეზე... თოფი განზე მივაგდე...

— უკან!.. დაწეკი.. ხომ არ გაგიჟდი!.. მომესმა გვერდით ბრძანების კილო და ვილაცამ ფეხში ხელი წამავლო...

— ზუუუ.. დაიზუზუნა მარცხენა ყურთან ტყვიამ... შევკრთი... გამოვერკვიე... ინსტიქტიურად დავემორჩილე ბრძანებას და მოსხლეთილი პირქვე დავეშევი...

— დაიქერ?... ჩამომძახოდა ისევ ის ხმა ყურში... მაგრამ მე ხმას არ ვიღებდი... იმ წუთს მე არას ვგრძნობდი, არას ვფიქრობდი...

— ბუხ... გრრრრ...

გაისმა ჩემს ახლო საშინელი გრიალი... ყუმბარა გასქდა... ამ საშინელმა გრიალმა გამომარკვია... დავუგდე ყური .. ჩუი... რალაც ახალი ხმები მესმის... საშინელი ხმები, რომელნიც ცალზე მოქმედობენ ჩემზე.. ხმები, რომელნიც გულის სიღრმემდის მწვდება და ისრებივით მესობა... ეს ხმები საშინელნი, გულშემზარავნი თანდათან ახოვდებიან... მესმის მარცხნით... მარჯვნით... ახოვს, სულ ახოვს... აი გვერდით... გავარჩიე კიდევ ნათლათ...



კაპიტ. თავ. ივანე დავ. ციციშვილი



კაპ. ვლადიმერ ლალიძე



პორ. შალვა აბესაძე

— ვაიმევე.. დედა.. მეაიიი.. ეს ხმა მეცნობა... ეს ის ხმა იყო, რომელმაც გამაფრთხილა... სიკვდილს ვაღამარჩინა... ხმა ჩემი მეზობლისა, რომელმაც რამდენიმეჯერ ჩამომძახა: „ხომ არ დაიქვრო“!

ხმა თანდათან მიწყნარდა, ბოლოს ხრი-ალი და მომესმა... მივხვდი, რაც მოხდა... რაც მოუვიდა მეზობელს... სიბრაზისაგან სუნთქვა შექმნებოდა... ყელში რაღაც მომებჯინა .. გიჟივით წამოგყავი თავი... მინდა კვლავ გავეჭქანო იმათკენ, მაგრამ ჩემი მეზობლის ბრძანებითი კილო ყურში მიწვივის..

— „უკან.. დაწეკი.. ხომ არ გავიჟ-დი...“ ვგრძნობ ჩემს უძღურებას... ვხედავ, რომ ვერას ვაგზღებდი, მაგრამ რა ვქნა, რო-გორ ვიყარო იმათი ჯაერი... როგორ ავიღო სისხლი ჩემის მეზობლის . მოკლული მეზო-ბლის სისხლი, რომელმაც მე გამაფრთხილა... სიკვდილს ვაღამარჩინა.. თვალებს გიჟივით ვაცეცებ... აქეთ-იქით ვიძქირებ... უცებ ჩემს თოფს მოვკარ თვალი.. სიხარულით მო-ვაველე ხელი... ახლა კი იმედი მქონდა, რომ ჯავრს ვიყრიდი.. სისხლს ავიღებდი... ხელე-ბი შეუფრებლად მუშაობს.. ჩავაწყე პატრო-ნები..

— ტრახ... ტრახ.., ტუხუხუ .. წიუუ.. წუწუნით მიქრის ჩემ მიერ გასროლილი ტყვი-ები იმათ მხარეს...

რაღაც მხეტურმა გრძნობამ გამიტა-ცა... სულ ერთიან ავენთე... ყველაფერი და-მავიწყდა... მხოლოდ ერთი სისხლი მწყურო-და... სისხლი...

.....
ეს მე-20 ტყვია მისწვივის ჩემ მიერ გასროლი-ლი... დარწმუნებული ვარ... ვიცი, რომ ტყვია თავის დანიშნულებას აღწევს... მიხა-რის... გულზე მეშვება .. სისხლი აღებულო... მოვალეობა ჩემი შევასრულე პირნათლად...

.....
მუსიკა, საშინელი, გულშემზარავი ისევ უკრავს... უფრო ძლიერათ... უფრო გარკვე-ვით... მაგრამ რა მომდის. ახლა ის მე აღარ მაშინებს... თავხარს არა მცემს... შევეჩვიე .. იმ ხმებში რაღაც სიამოვნებას ვგრძნობ სა-შინელი ღრიალი ტკბილ მელოდიათ გადაიქ-ცა... თანდათან წყნარდება.. ძლივს და მეს-მის... თვალებზე ბინდი მეკვრის... დაღლილო-ბას ვგრძნობ... მინდა ძილი... ძილი და ძი-ლი...

მსახიობი ჯარის კაცია კირილე მაჭარაძე

ქ ა ტ რ ი ლ ნ ი



პოლ. დიმიტრი ჩრდილელი



პორ, ვალერიან ლოლაძე



პოლკ. თ. კონს. გიორ.-ძე შერვაშიძე (მოკლული)

„გზოვლი“ სული“



მიხეილ ლერმონტოვი

...До срока созрѣлъ я, и выросъ въ
отчизнѣ суровой.
Одинъ, и безъ цѣли, по свѣту ношуся
давно я,
Засохъ я безъ тѣни, увялъ я безъ
сна и покоя.
Лермонтовъ.

ლერმონტოვი!

ასრებობს-კი ისეთი კაცი, რომელმაც კითხვა იცის და ლერმონტოვო არ გაეგონოს?

არის-კი ისეთი ვინმე, ვისაც გონებით გაეშუქებიოს ჭინოსთა ზანთონი და იქ ლერმონტოვი არ შეეშინაოს?

ასრებობს-კი ისეთი ინტელიგენტი, რომელმაც იცის ცოტათი მაინც რუსთა ლიტერატურა და ლერმონტოვით არ მოხიბლულიყოს?

არა! არ ასრებობს?

არ ასრებობს ისეთი კულტურული პირი, რომელმაც არ იცოდეს ვინ არის ლერმონტოვი, არ წაეკითხოს ის, არ აღელვებულიყოს მისი ტანჯვით, არ აღტაცებულიყოს მისი ლტოლვით, არ განაცდიფრებდეს მის უკუნი ძიება, მის ძლიერა, ამაჟი, ქართველიანი სული.

მას ლარ სჭირია აწ არც ქება-დიდება, არც რეკლამა, ის უკვე მიხნეულია ბუმბერაზად, და მსოფლიო ჭეინოსთა შორის უზარეულეს ადგილთაგანი უჭირავს.

* *

მსატვარმა ადო ტილო და ფერადები და შექმნა წარმტაცი მშენიერება.

სადამოს მიწურულია.

მსე ცსოველმოფეველ სსიხეებს უკანასკნელად ისერის ძალ-მისდლიო, და კდემ-მოსილი სინაზით ეთსოვება დედამაწს. ცის დანავალს ამართულა მდალი მთები და მათ მწვერვლებზე წყნარის სიმფონიით მიმოდან დედამაწის ზეცასთან შემეერთებელი ფაქის, კარინდულ დრუბელია კულულები. მომაკდდგ მზის სეედას არ ჭსეედვს კაცი, და მხოლოდ მოჯადოებულად მისხერება მზის მწვერვალზე სსიხეებში გაზდნარ მარწევის ფერ დრუბელთ სინაზეს და სტკებუა უფიქროდ. თვით მას არ სტალიან შეამხნის სურათის ნაკლი— ის დაუთთავრებელია. მისი შემოქმედი გარდცდელია მანამდის, სანამ მოასწრებად ამ უკვდავი მშენიერების უნაკლოდ დამთავრებას. მართალია, მთელი სული, მთელი ტანჯვა მსატვრისა ამ სურათშია ჩაქრული, მაგრამ მასე ვერ ფიქრობს მყურებელი, თვით სურათი აჯადოებს მას. მსატვარს ჩრდილავს მის მიერ შექმნილი მშენიერება...

ეს ლეგენდა მომეტონებს ლერმონტოვს. ის ძალიან გავს ლერმონტოვის საწარგო სულის ისტორიას, რომელიც დახასიათდება ასე: ყოველ დღიური, ყოველ საათით, ყოველ წუთიერმ წავადავა.

ლერმონტოვის სიტატსლეე დაუსრულიებელი ტანჯვის, მუდმივი წამების, უსასტიკეს სულიერ და სორცოელი ობლობის ისტორიაა, და ამიტომაც მისი ჰოეზია—ობლად მოკაშაშე ჰოეზიაა რუსთა ლიტერატურაში.

მის სიტატსლეეც და შემოქმედებაც არაგია, ლეგენდა და ამიტომ „მწირო“-ს, „დემონის“, „შეპატრონოშა“-ს, „გამოტყეული“-ს, და „ჩეენი დროის გმირები“-ს ავტორის შესახებ მუდამ განატანებული ივლის ქვეყნად ობოლი ლეგენდა და ობოლ ლერმონტოვის ობოლ სულიზე.

* *

ლერმონტოვი დაიბადა ქ. მოსკოვში 1814 წელს, 2 ოქტომბერს, დამათ.

მამა მისი იყო ინგლისიდან გადმოსვნილი რაინდის, გეორგ ლერმონტის ჩამომავალი დარბიი ოფიცერი, იური ლერმონტოვი, კაცი დამაზი,

სშირდ კეთილი, და ამავე დროს ნერვებ-აშლი-
ლი, ზედმეოფურად თავმოყვარე, თავდავიწყე-
ბამდის, სშირად ვეღურობამდის ფიცხი, ამაყი
და ჟინიანი, სშირად ტლანქი.

დედა კიდევე—მშვენიერი, სუსტი, ნაზი,
კეთილი და ფაქიზი არსება. ის იყო ობოლი
ქალი, ცნობილ არისტოკრატ—არსენიევის
გვარისა. მათი შეუღლება მოხდა სიყვარულით.
დამოკიდებულება კი დედის ნათესავეებს და
მამის შორის იყო მწვავე. დედის ნათესავეებს,
მდიდართ, განათლებულ მეპატონეთ, არ მოს-
წონდათ ნათესავით უცნო ჩამომავლობის დარი-
ბი ოფიცერი, და მუდამ სეპეურად კეილებოდენ
მას.

მამა კი, რომელიც ამაუბდა მის არისტო-
კრატული და რაინდული შთამომავლობით, არ
ურიგდებოდა მკვებარ დამცირებელ განწოლიაქე-
ბას და მათ შორის იყო მწვავე შუღლი, მძულ-
ვანება და ბრძოლა.

მათი შეუღლება კი მოხდა ქალის სიყვარუ-
ლით ლერმონტოვის მამისადმი. მაგრამ ცუდმა
განწოლიაქებამ მოჭკვლა ქმარში სიყვარული და
მათი გაწოლიაქებაც ტრაგედიით დამთავრდა.
ბუნებით ნაზმა და მოყვარულმა მარიაშმა ვერ აი-
ტანა ქმრის სიყვარულის დეკარგვა, მის ხმის
სიტლანქეც და „სეგდინი, ფერმურთალი ქალ-
ბატონი“ გარდაიცვალა ქლეკით, დაქორწინების
ვესამე წელიწადს.

ღარიბი და არისტოკრატი, მაგრამ ოდნა-
ვად ტლანქი და ჟინიანი, ამაყი მამა, მდიდარი
და ფაქიზად აღზრდილი, ნაზი დედა, მათი
ნაძლადევი შეუღლება, დაობლება დედიტ ბე-
შობაშიევი, უღელმამოთ ფუფუნებაში აღზრდა,—
აი რა პირობებში დამწიფდა ცეცხლის მგოსანი;
ტრადიციული სიყვარულის და განსაცარ კონტრას-
ტების შვილი კონსტანსტინის უოგუდიფერში,
რომელთა უკმეხ რწყალებში იპაწრებოდა მისი
ტიტანიური სული,—აი რით დაწასიათლება
ლერმონტოვი, აი რა არის მიზეზი მისი დაუ-
ცნრომელი ბუნების დტოლფვის კეშნისადმი...

„აგს კარგად ვერვინ შესცდომს, თავსა
სხლად ვერვინ იშობსა-ო, ამბობს ჭინთოსი რუ-
სთაველი, მაგრამ შეკნება ამ ჭეშმარიტებისა
სულ სხვადსხვა ნაირად მოქმედებს სხვადსხვა
ბუნებაზე.“

იმ დროს, როცა ერთნი—ბრძნულად
ისრიან ქედს, ემორჩილებიან ბედს, კმაყოფილ-
ნი არიან მათი ბედისწერის, და ჭოგურად მიე-
ქანებიან აზრბობის უფსერუდისკენ, ზოგნი ვერ
იტანენ ამას, ვერ ურიგდებიან არსებულ სიმდა-
ბლეს და გაპატონებულ ძალმომრეობას, უცხადე-
ბენ სსსტიკ ბრძოლას უველაფერს, რაც კი მი-
მართულია თავისუფლების და ჭეშმარიტების
წინააღმდეგ, არ ინდობენ არაფერს და რამ
მთელი ქვეყანა, მასთან ზეცვდ, მტრად გადაიკი-
დონ, კიდევე უფრო სწურობიან ბრძოლის ქარი-
შსალი, და დაუბუბული ნადვლით, შურით, უკ-
ვდავი შურით ზრტესტად გადაქცეულნი, წევე-
ლას უფოლიან ცსას და დედაშიწას, საშეაროს.

და რომ დასწვათ, ცეცხლზე აწამოთ, სტან-
ჯოთ, ისინი ჭოდლოდ მიადებენ მას და უკა-
ნასკელი მათი ცეცხლის ამბახილი იქნება:
ფრთები შეისხი შურის ძიებაზე!

და როცა ამგვარ ბუნებას სედავთ, გინდათ
ერთ წუთს იწამოთ ის ლეკვანდა, თათქოს სული
კაციას უკვდავი იუთს; თათქოს სული განსაკუ-
თრებული არსება, განყენებული ზეშთავონება
იუთს აღმამანში.

ამგვარი აღმამანები მუდამ სძულთ თანამე-
დროევი. ჭსობად ქმნილი, მკვლარი, უძრავი
სულები ვერ იტანენ მოძრავ სტოქიას, დეთორ
ძახილს, და ამიტომ ჭეშმარიტებისა და სამარ-
თლიანობისთვის თავგანწირულნი მუდამ იყენენ
ობოლნი სულით, ობოლნი ტანჯვით.

ასეთები იყენენ: ბაგრონი, ჭიუგი, ჭიუგი,
უსპენსკი, გარშინი და აშედადევი; ბარათაშვილი,
ჭონქაძე, ნინოშვილი და ეახბეკი.

ასეთი იყო და უველასზე უფროც—მიხეილ
ლერმონტოვი.

*
**

აბა მოიგონეთ, ჭერ კიდევე სუთი წლის
ბეშევი აღმეთებელი ბატონ-ემური განწოლია-
ლებით, თავის მფარველობის ქვეშ აცხადებს მო-
ნებს და სსსტიკად სდეგნის უფროსების უმების
ცემა-ტეგმისათვის. ერთხელ ის დანიტ გამოკეი-
და მოსაკლავად გამეგს, რომელმაც ცემა დაწყო
უმას.

უნივერსიტეტში ეოფნის დროს ის მარტოა,
და არ ერევა არავითარ საამხანაგო წრეში, რად-
გან მას არავითარი სულიერი კავშირი არა აქვს

მათან, მკვრამ როდესაც კი სტუდენტების ჯგუფი განიზრახავს დასავლეთის რომელიმე საძულებელი პროფესორი გაქვები, — ლერმონტოვი პირველი შეთაურია მათში.

1837 წელს, როდესაც ღუგელში უღმობებელმა ტუევამ იმისგერძლად რუსთა პოეზიის მსგებუნეები, ის სწორს ნაღვლით, ზიზღით დაღმფთობით და რევილოციონური სტიქიითა დასავსე ლექსს, სასოციალისტების წინააღმდეგ, რომელშიც ადგილი აქვს და თითქმის მოწონებაც რუსეთის სიამაუის მიგვლეს. ეს ლექსი იწვევს ადამიანებს, რომელთა სასოციალისტებში და პოეტს სწავიან კავასიასში გადასახლებით.

და მრავალი სხვა

და უფლებების უფლებების მოკლე სიტყვებში, ის მუდამ განხორციელებული პროტესტის მონაბისა და ძალმომრეობის წინააღმდეგ; მუდამ შუადრეკელი, ამაყი, მარტო, აბოლი.

ამიტომაც ლერმონტოვი უფრო კაქშიანის ობლობის მოქმედაც პოეტია.

აჲ, სადაც ობლობაზეა სიტყვა მის შემოქმედებაში, იქ არის სწორედ ის ყველაზე უფრო შეუდარებელი, ძლიერი, სხივოსანი, მისი. ლაჲი.

* *

ლერმონტოვის მოკლე სიტყვებში, დასავსე ტანჯვით და ობლობით, დამაყრდა ტანჯვითავე — ის მოკლე იქმნა ღუგელში, დასავსეებში ობობად, როგორც თვითმგვლელი, — მას საქრისტიანო წესებზე კი მოაკლეს, განრისხეს.

ობოლი შთამომავლობით, ობოლი დედათ, ობოლი მამათ, ობოლი სულით, უმეტებრთ. მის თანამედროვე განათლებულ, უზრდელ, მონურ სასოციალისტების თანაგრძობის მოკლებული, ობოლი სიყვარულში, ის ობობდა ჩავიდა სიფლავში, რასაც ის სამუდამოდ ეღობდა სიტყვებში:

„მე საფლავის არ მუშინან,
ამობენ, რომ იქ ტანჯვას სძინავს
ცეცხლს, საუკუნო ცეცხლს სიხუმეში“.

ასეთი იყო ლერმონტოვი. ასეთი იყო ლერმონტოვის ტიტანიური ობოლი სული!

თ. იანელი



ენვერ-ფაშა

ოსმალეთის სამხედრო მინისტრი

კენეს სულის

ხან ცა მემუქერის, ხან მიწა,
ხან ორივე ერთად მშურათა.
ძმა, მეგობარი — ყველაზე
შემომცქერიან მტრულათა.
ყორანი ჩამცივებია,
დამჩხავის ზბედის-წერასა —

ერთი მითხარით: გაუძლებს
ეს გული ამდენ ღელვასა?!

* *

ფრთა გაუშლია ღალატსა,
თავს დამთამაშებს წყეული.
ისარს მიმიზნებს ვილიცა,
ზოროტი, გახელბეული,
კართან ხარხარებს დემონი,
გემო არა აქვს ჭამასა. —

აბა მითხარით: გაუძლებს
ეს გული ამდენ ტანჯვასა?!

* *

სატრფო დამშორდა უტკრივ, —
მიწამ ჩაყლაპა თუ ზღვიამა!...
ქექა-ქუხილით დაგორდა
ზევი მოსკლარი მთილამა.
უტკირეთ, ყველამ უტკირეთ,
რა მოსდის ჩემსა კერასა, —

ვაჰმე!.. გაუძლებს ეს გული
ამდენ შფოთსა და ღელვასა?!

ილია რუხბაძე

ქ ა რ თ უ ლ ი ს ა ხ ი ო ბ ა

ძარითული წარმოდგენა „არტისტ. სახ.

თ ე ა რ ტ მ ი“. თხზუბათს, 22 ღვინობისთვის ქართ. დრამ. სახ. დანმა წარმოდგინა ალ. სუმიბათაშვილი (იუენის) ისტ. დრამა-ლეგენდა „ლალია“. ეს წარმოდგენა მით იყო საყურადღებო, რომ დასდგა ხსალგაზდა რეჟისორმა ალ. წუწუნავამ, საკუთარს მიზან-ღიგნებით, თამაშობდენ თითქმის სულ ხსალგაზდანი და წარმოდგენასდ უმეტესად მოსწავლენი და ხსალ-ხო დაესწრო. გარეგანის მონით ზიეს საუცხოოდ იყო დადგომული: მოწოდებლუბა, დეკორაციები, ბუნების მოვლენანი, საღიანო სცენები გამიანად შეხმებული, თითქმის უთველი სცენა, უთველი კუთხე-კუნჭული სელაფანი-ისტატის სელით გამოკეთალი.

ხსალგაზდა მსახიობთ თუგეს სელაფნების უმაღლეს საფეხურს ვერ მიადღის, მაგრამ სერით შთაბეჭდილებ. მთლიანობა კი არ დაურღვევიათ: უთველი მთავანი დრამა ჰგომობდა ვის და რას წარმოდგენდა. მთლიანი და საუცხოო ხსალგაზდა შექმნეს: შ. შარაშქი (სულემან ხანი), — რომელმაც წვლილდა თანდათანობით განასხიერა მტრად-მარძახებლის სულის ვითარებანი; ნ. ჩხეიძე (ზეინაბი, ითვე თამარი). განსაკუთრებით ზირველს: და უგანსკელ მოქმედებაში იყო სედამტანი, რომელმაც მთელი დრამა ერთის გომობით შემოაქა; ალ. იმედაშვილმა (დათა) საუცხოო ხსალგაზდა გამოაქანდა; მთის თაფისუფალი თაფანწირული გომინის; ი. ზარდალიშვილმა (ერეკლე) მშენიერად დაგვიხურათა სულით გომინი, მაგრამ ენათა დეფით გარტეხული, ქალის მონა-მორხილი, შეუცნობელი ქაბუკი. ბ. ალ. უდაბეგოშვილმა ხსალის გომით წარმოგვიდგინა თარბეკი: ინი შედებელი დიდი ვერით. შესძლდა ეს უფრო ხასიათიდეს დღისხნთ გამაქმანდაიებულ თარბეკს. მსახიობი სრულის შეტებით ასრულებდა მ როლს, შიგა და შიგ დიდის ხელაფნებითაც, მაგრამ საზოგადოებასე მისდ შთაბეჭდილება ვერ მოახდინა: ეს იმის ბრადიცა, რომ ჩვენს საზოგადოებას ხსალის ამ როლის საუკეთესო გამოსახულებელი, ვალ. გუნი. ეს კი უნდა თქვას, რომ მსახიობი ამროლს დასძლევს და უკეთებ შეასრულებს, უფრო რომ შეისწავლოს თარბეკის ბუნების თმადებანი. სინდისის ქენჯინით გამოწვეული სულიერი განცდა უფრო ხსალგაზდათ უნდა იქმნეს გადმოდგომული. საუცხოო ხსალგაზდა შექმნა რუქ-

იანი ზიერტტამ. სხანს მსახიობი ქალი მუშაობს და ხსალის როლს შეტებით ეპრობა. კორიშელი (ანანი ვლას) უფრო უკეთესი იქმნებოდა, რომ შეტით სიდიდე გამოეჩინა და ერთკიდოფანდა არ ჩატარებინა როლი. ან. ქიქოძე (გაიანე) შეტებით ასრულებდა თვის როლს, მაგრამ ვერ იყო ისეთი ჰქურფანი, ტექტიის როგორც გაიანეს ბუნებას შეტეფრის ელ. ჩერქეზიშვილი საუცხოო მაიკო იყო, ს. ბუგანაშვილი მშენიერი ისახრი, ვ. ანაბიძე — შეუღლებელი უარაფსუფი და ი. რანიშვილი — მოხდენილი ბესო. ამ მსახიობის უდრესი დირსებას სისადაც, ბუნებრიობა და ზომიერება. მდროდა სულ სხვა კალით, ძველის ქანგით, და; უგონებით, ეს უფრო შესაფერია. სუსტობდა გ. ფრინისპირელის საბა ბერი, — მან ვერ გვიჩვენა მრავალ ქირანსული, სარწმუნობებისა და მამულის სიფარულით აღმზებული ბერი-გომინი.

როგორც ვსთქვი, გარეგნულის მხრით ბეგრი ხსალი რამ იყო შეტანილი. მაგ. მეორე მოქმედებაში ზეინაბი მარტაკა კი არ შემოდი ართიდე მსხებელათ თანსლებით. არამედ მთელის აშლით და ისიც ტანსტრეკებით.

სეთაივე ხსალი უგანსკელ მოქმედებაში გულგანგმირულ დედოფალს კლიფის ნიშნად დროშებს რომ გადააფენენ და შეამართა სმისა.

კიდევ ერთხელ უნდა დანიშნოს ბ-ნ ალ. წუწუნავას უმაღლესად განვითარებული და ნახი სსსენო სელაფნების ნიჭიერება. სამწუხარო იქნება, თუ მან საშუალება არ მიეცა იმუშაოს.

წ-ი

ა კ ა პ ი ავლაბის სახალხო თმბობი.

ვირას, 19 ღვინობისთვის ვ. ქარ. სახ. წარ. მმართ. წიგმ დიფლო სეზონი მხკოფანი მგონის აკაკის „პატარა კახით“, ი. ივანიძის მონაწილეობა რუქისორობით თ. ნასიძის მორიგი გამგეობით. —

სადაც სიყვარულია, იქვე მადლია, სწორედ ამ წარმოდგენის მეთაურთა შესახებ თქმის. ქალაქის საღლაკ მიყრუებულ კუთხეში, სადაც წარმოდგენას ბევრი დარტოლება ელობება წინ, სხენებელი წარმოდგენა ისეთი სიყვარული იყო გამართული, რომ ყველა დამსწრთა გულს მადლი ეფინებოდა. პარტურის კვლემბი ქართველ მწერალთა და თამარ დიდის სურათებით იყო მორთული, ლოყები ხალიჩებით და მთელ საღამოს საღლესაწული იფერვი ედო. დიდხალი ხალხი მოთმინლად ელოდა პარტიარქ-მგონსან-აკაკის. ხალხს იმედი არ გაუტრუვდა და სახე გამოუქმებელი საყვარელი მოხუციც გამოჩნდა. ხალხი ვაშლი, დფა-ზურნით და ხოროს სიმღერით მიეგება. პირველად

მიესალმა დასის რეგისორი ი. ივანიძე; მერე მეპურეთ-
მა მხრით ხონრით პურ-მარტილი და ღვინო მიათრევს
მეპურებებსა და მრავალკამიერი უმღერს, ახალგაზდა
სახალხო მუშა-მოღვსემე შ. ნავთლულელმა ექსპრო-
მტით ქვეთლი ლექსი მოაწესა:

„მოხსუტებული მოსანო,
მოსილა თიერი წვერითა,
ბენდიერება მოგვადლე
მოზრძანებითა თქვენითა!

უკვდავი არს და იქნების
თქვენი ტკილ-შმაპა კლამი!..
წრფელის გულითა მოძღვნილი
მიიღე ჩვენი სლამი!“

მგოსანმა მადლობით ხელი ჩამართავა, ხოლო
მოღვსემე ხელზე აკოცა. აჟაკი თვის შვილითურთ დაბ-
რძანდა საგანგებოდ მორთულ ლოჯია და წარმოდგენა
დაიწყო. მსოცვანი მგოსანის აღტყევისა და ხალხის
სიამებს ხსულვარი არა ჰქონდა. სკენის მიყვარი მუშაკით
ამ დამეს დიდი ჯილდო მიიღეს აჟაკის ბავით: „ამ პიესის
წარმოდგენა ბეგრ იდგოლს მინახავს, ხოლო ასე მწყობ-
რად და შეგნებით წარმოდგენილი კი არსადა“. მართლაც
პიესა საუტხოვოდ იყო მომზადებული, თუმცა სლიანი-
გა სცენები ჰკოპოლდა. რაღებში თითქმის ყველამ ზე-
პირად იცოდა. განსაკუთრებით კარგები იყვნენ ი.
ივანიძე (გელა), ქ. პარგველაშვილი (ტურფა), რომელ-
მაც ვასილკრის სიწრფელი შეგასრულა თვისი როლი,
ი. ჟიფიძე (პატარა კახი), თავდგირიძე (ლევან ქვაბული-
ძე), რ. ჯიბლაძე (რევაზ ბებურიშვილი), ი. ჰიჭვილი
(გივი ჩოლოყაშვილი) და ა. შაითარიშვილი (ბაკდურ-
კეტი). დანარჩენი პიესის საერთო მსვლელობას ხელს
უწყობდნენ. წარმოდგენის გათავებისას ხალხმა და წარ-
მოდგენის მმართველთ ზეითი გამაოცოლეს მსოცვანი
მგოსანი, რომელმაც თვისი დასწრებით გაახარა მიყ-
რუებულნი კუთხე.

ამ სლამის მოწყობაში დიდი უნარი გამოიჩინა
გამეცობამ, განსაკუთრებით ბ-მა თ. ნასიძემ. როგორც
გივობრეს, გამეცობას განუზრახავს ყოველ კვირა პარ-
თოს სახალხო წარმოდგენებ (4 კაპეტიდან 30 კდე).
მეორე წარმოდგენა დღესაა. წარმოდგენილი იქნება
ირეთელის „დამარცხებული“.

უსაპნრო

სახალხო სანლი. კვირას, 19 დღეინობისთვის,
სახ. სანლთან არს. ქ. წ. მ. წრემ დასდგა „მალაროს
უფროსი მუშა“ და „რაც გინახავს ვეღარ ნახავ“
„მალაროს უფროსი მუშა“ ვერ იყო ისე ხელოვ-
ნურად შესრულებული, როგორც მოგვადგენილი. ჯერ
ერთი პიესაშიც არ არის სირთული და მისი მარტივი
მინარისი ბეგრვან კოკლომს სურათითა უსწორ-მასწოროდ
დახატვით. სამაგიეროდ მასში არის ძალიან ძივიერი
ღრამატინში, რომელიც მოითხოვს მუდამ ნერვიულობას,
რაც ისე ნაკლებ ეხერხებათ ჩვენ სცენის მოყვარეთ.

ტლანქი იყო ძველი ინვიზიის როლში, ბ. ხა-
ხანაშვილი. აქ ბ. გოციორძიძე მოისუსტებდა (უფროსი
მუშა). შეუფერებელი დიასახლისი იყო ქ. რომანიშვი-
ლისა. განუადგებულად ანაქალბდა ქ. ანკარა (კანნი).
არა უშვავდა ბ. მეტრეველს.

სამაგიეროდ მშვენიერად ჩაიარა პიესამ—,რაც
გინახავს ვეღარ ნახავ“. აქ ყველაზე არა თუ თავის აღ-
გილს პირდაპირ მშვენიერნი იყვნენ, გარდა ბ.
მინდრაშვილისა, რომელიც ყოველთვის ყველა როლს
ერთნაირად ასრულებს და ბატონის როლში ხომ ის

სულ არ ვარგოდა. აქ ხახანაშვილიც (გიუჯა) ძალიან
კარგი იყო. თავისი ხელოვნური თამაშით შეუღარებელნი
იყვნენ: ქიაურელი, ჯაბაური და გოციორძი. სლიანიც
სცენები ცოცხლად იყო შესრულებული. გრიმებიც შესა-
ფერი—მაგ. პატარაძალ (ქ. ძუძა) ძალიან მოხდენილ
ჰქონდა და ძლიერ ლამაზად აჩნდა. საუტხოვოდ იყო
ქ. ქართველიშვილის, (ორომსე), სუსტობდა ბ. გელი-
კურაშვილი. ხალხი დიდადი დაესწრო, ბევრი უკან
დაბრუნდა. დამსწრენი დიდათ ნასიამოვნები დაიშალნენ.

მეგობარი

ძშთაისის თეატრი. 9 ოქტომბერს ქართულმა
დასმა წარმოადგინა კისტმევრისის დრამა „ნისტიქტი“. ეს
პიესა ძნელი შესასრულებელი ნაწარმოებია, რადგან
ღარბია სცენიური ეფექტებით, რაც, ჩემის აზრით,
აუცილებელია პიესისათვის. ამიტომაც ძლიერ და-
ხელოვნებელი მსახიობია საჭირო, რომ პიესამ სათა-
ნადო შთაბეჭდილება მოახდინოს. ჩვენმა დასმა კი
თავისი საუკეთესო ძალები არ დაიშურა ამისათვის და
საუტხოვოდ შესრულებული პიესა მოგვასმენინეს.

ჯან ბერნუს (ე. მესხიშვილი) სულიერი დრამა,
მისი ტანჯვა, შეუვრაცყოფი ქმრის და გამოჩენილი
ექიმის დატაკება შესაფერის ნიჭით, დაკვირვებით გვა-
ჩვენა, მუდამ ახალგაზდა ლადიმ. სესილის (ქ. დავი-
თაშვილისა) მდგომარეობა, ორ ცეცხლის შუა ტრი-
ალი, ორი გრძნობის, სიბრალულის, რომელიც ის,
ის იყო სიყვარულად უნდა შეცვლილიყო, და ქმრის
ერთგულების შორის შეტაკება საესებით დაგვისურათ.
ბ. შალიაშვილი ანდრე ბერნუს როლში ისე თავი-
სუფლად გმრძობდა თავს, თითქმის არხინად საკუთარ
ოთანში იყო და არა სცენაზე. ამ მსახიობის თვისება
სიმარტივე და რეალობაა, რაც მეგრს ჩვენს არტისტს
აკლია. ბ. მურუსიძემ (დორტივე) ისე კარგად ასრუ-
ლებდა თვის როლს, ისეთი ვაიმეგრა ადამიანი
გვაჩვენა. რომ შეგვეზიზნა. ქ. მდივანმა, რამდენადაც ეს
შეიძლებოდა ისეთ პატარა როლში, როგორც ტრე-
ზას როლია, ყველაფერი პირნათლად შესასრულა.

დასასრულ მსიარულად ჩაატარეს „პარიზელი
ბიჭი“. ტასომ ბევრი აცინა სასოვადოვება.

11 ოქტომბერს კი ჰაუტმანის „პატიონებმა“
ითამაშეს. პიესამ საუტხოვოდ ჩაიარა და ერთი საუ-
კეთესოთაგანი იყო სეზონის დაწყებდან.

ამ გამომგვბას ხელი შეუწყო თითონ პიესამ და
აგრეთვე მსახიობთა ნერვოიამ. ასეთი შეთანხმებული,
სრული წარმოდგენა ჩვენს სცენაზე ხშირად არ იმარ-
თება.

მაგრამ 12 ამ თვეს დადგმული ბ. გ. გუნის მიერ
გამდოკეთებული „ციხის საიდუმლო“ კოკლობდა, რო-
გორც პიესა, თუმცა შემსრულებელნი წუნ—დაუდე-
ბელნი იყვნენ.

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევენ ბ.ბ. გუ-
ნია, მურუსიძე, შალიაშვილი. ქ. დავითაშვილს
თამარის როლის შესრულება უკედ შეეძლო. ტასოც
გვეუტხოვა. არა უშვავდა რა ბ. მგალობლიშვილს. ბ.
იშხნელი, მართლაც მემორის როლს ასრულებდა, მა-
ინკ ზომამზე მეტი მოუხეზავი იყო.

ხალხი ორ უკანასკნელ პიესას ბევრი დაესწრო.

L,ami

ბაჰმოს დრამ. წრისდანი. კვირას, 12
ოქტომბერს, წარმოადგინეს „**დღინაცვალი**“,
ტრ. რამიშვილისა.

იყო დრო, როცა სოფელი საღათას ძილს
განხიდავდა. ცხოვრების სედა ზარზე თავისუფ-
ლად დანტყვევდნ ხალხის „**კლა-ღუები**“ და უმო-
წყალოდ დრეზიდენ ხალხის სულსა და გულს.
ჩვენს შუქრდობაში, განსაკუთრებით ბუღეტისტა-
კაში, სავაზა ადგილი აქვს მიჩნეილი ამ მის-
რეს დაჯთმეოფიებულ სასოგადოებისას. ამისე
შუქრდობაში, „**ტრადელ მელანქიკები**“ და სხვ.
მრავადი, ხალხის სისხლით გაბურღილი „**კლა-
ღუები**“, რომელთა გამრავლება დროთა ბრუნ-
ვის ბრძლია და დრმა სოციალურ მისეკებზე
დამეარებული. დღეს კი, როცა ბნელით
მოსილ სოფელში სინათლის შუქი შეიკლრა, რო-
ცა ხალხი ადგიდებს და ძირობს სხუეუნობით
გარდა სოფელში უმეტრების საბანს, ამ „**კლა-ღუთა**“
თავისუფლად ცოცხლსდ ფრობი ეკვიტებს. ხალ-
ხი კარგათ ამჩნევს დღის სინათლეზე და სის-
ტავათ მუსრავს მათ. ჩვენ დრამატურგთაშიაც
სავაზა უურდლებს აქვს მიქცეული ცხოვრების
ამ შოგელისა. ნიკოეი დრამატურგის ტრ. რა-
მიშვილის უკანსკნელ ზიესში „**დღინაცვალ-
შიაცა**“ ასეთი ტენდენცია არის გატარებული.
ეოვლად ავი სული, გულქვა სოფლის დედაპრი
(დღინაცვლი) წამ და უწუშ სტემს ავადმოფი
და შიშუელ-ტიტველ გერს, რომ თავის მხცურ-
რი სურვილები გაიქაროს. მისი სავარელი
მალხაზ უნგიაძე, სინდაისა და ზატოისნებაზე
ხელ-ადებული დამიანი, რომელიც არაფერს
აკეთებს და ხალხის ზურსკზე ცნობრდებს, შე-

თქმულობას აწეობს დღინაცვლიან, რომ ამ
უკანსკნელის მეორე ქმარა, ზატოისნი და
გულ-კეთილი დამიანი, წუთი სოფელს გამა-
საღმობს. მგერამ გამოდგომიული ხალხის ძლიე-
რება სწორედ ამ დროს უწერებს მათ და დირ-
სეული სსჯულით—სიკვდილით უმასხინძიდებს.
სამწუხაროდ ზიეს უნაკლელოდ ვერ დიდ-
გა. არ ვიცით ჩვენი ნიკოეი რეჟისორი როგორ
უმსკრს ზიესში კილოს დაცვას, მხოლოდ
ჩვენ კი უნდებლათ მივგანნიას ის, თუ კი, რა-
საკვირრელია, მოსახერხებელი იქნება სხვადასხვა
გარეშე ზირობებში. ასეთივე შეხედულების ვართ
ჩვენ ტანისმოსების შესახებაც. მოქმედება
სწარმოებს გურიაში. ასკანა და ნასკიარლი, რომ-
ლებზედაც დამარბაკობენ ზიესში, გურიის სოფ-
ლებია. სტენსზე „**სხს-ბეგურსა**“ და სხვა
გურულ სიმღერებს მღერან. ამ დროს გლეხები
გარდა ასკიელების, რომელსაც თავზე კაბალხსა
ხურავს და ასლუხს იცვია, ეველანი ქართლე-
ლებს მოგატანებენ, როგორც ტანისცმელით,
ისე კილოთი. მიუერებლებზე ძლიან ტუდთ
მოქმედობს ეოვლიე ეს. მოთამაშეთა შორის
ჩვეულებრივი დაკვირრებით თამაშობენ და დირ-
სეულათ სრურდებენ თავთავიანთ როლებს შ.
დაღიანი (მალხაზ უნგიაძე), ელო ანდრონიკა-
შვილი (ელიეო) ქეთთ ანდრონიკაშვილი (დღი-
ნაცვლი). დანარჩენი მოთამაშენი კი ხელს უწ-
ეობდენ ანსამბლს. „**დღინაცვლისა**“ შემდეგ
წარმოადგინეს „**ბებრის საღერდელი**“ თარგ.
და აწუერდლისა. ბ. აწუერდელმა ბეერი დცისა
დამსწრე სასოგადოებას მოხდენილი თამაშთა . . .

სან.

ქართული თეატრის ასამენებლად შემოსწორეს:

- დ ბაქრაძემ—12 მ.
- ანდრო და გიორგი ლევანისქეთ ქავ-
თარაძეებმა ათი თუმანი (100 მ.)
- ჰაჯი ბალაბეგ ნალიბეგოვმა—25 მ.
- გ. ი ოქრომჭელიშვილმა და ანდრე-
ევმა ათი თუმნის (100 მ.)—ხეტეის მასდა.
- ქ-მა ე. კოტიევისამ—25 მ.
- ბაქოს სკოლის მასწავლებელ-მოწაფე-
ებმა (მეთოდე კავაბაძე—დიშელიანსან შეერე-
ბილა)—22 მ. 74 კ.
- კ. ოღიშარიამ (მებრძოლ ჯარში გაწეუ-
ლი ავადმოფიი სათად-ჯარის კაცი)—3 მ.

- იოსებ ნინიძემ (სსტუმრო „მარსკელისა
ზატრონი)—25 მ.
- ვლ. იოს. გვახარია—15 მ.
- ალექსანდრა ილ. ასულმა გვახარია-
სამ—5 მ.
- იულ. ივ. ზუბალოვისამ—10 მ.
- ჰენ. ივ. ზუბალოვისამ—10 მ.
- სანგანაძემ—2 მ.
- ან. კეკელიძემ—2 მ.
- გაბაშვილმა—4 მ.
- სულავამ—1 მ.
- საბიაშვილმა—1 მ.

გ. მ. თუმანიშვილი — 81 ჰაეს და სხვა წიგნები (ქართულ და რუსულ ენებზე).

გიორგი ფოცხოველი — თეორიულ სუბსტიციას, სხვა თეორიულ სუბსტიციას

ალ. გოცირიძე (საღ. შოთაშანიას რეპრეზენტაციის საწარმოების მისამართებითა და მუშათა შორის შეტრიალი) — 15 მ. 30 კ.

იასე მახარობლიძე (ბაქო) — 10 მ.

ავ. ილ. გელაგანი (თბილისი ტექნიკური უნივერსიტეტი) — 11 მან. 25 კ.

ფოთის მომ. საზ. „ეკონომიკის“ გამგეობა — 15 მ (ამასთანავე მთავრობის მხრიდან მხარეზე სსსრკ-ის წევრთა, თავიანთი წვლილი გადსადონ ამ საქმისათვის)

თამარაძე და მიშაძე — 10 მ

ივ. ფარ. ნემსაძე, ნიკ. გაბრ. ფხაკაძე და ან. ულენბა — თუშეთის ახალი თეატრი

ექ. გ. ლოსაბერიძე (გუმბორი) — 15 მ.

მიხ. ი. ქიქრიძე (ბორჯომი) 25 მ.

ბავშვთა ბიძინა მერკვილიძე (სახელმწიფო დღეს მამისგან ნაჩუქარი) — 1 მ. 50 კ (ეს ბავშვი 7 წლისა, ფული „ნაკადულის“ რედაქციის გაუფასურებელი წერადაც ერთად: „ჩემი დედა ნინო!

ქართული თეატრი რამ დაიწყო, მე ბევრი ვიცი. ჩემი სახელ-წოდების დღეს რაც მამამ ფული მომიღო, სულ გიგანტური ქართული თეატრის სისტემაზეა.

თქვენ ბიძინა მერკვილიძე

ექ. გ. კ. ალშინაძე მთავარი ოცი თუმანი (200 მ.), ამასთანავე აღუთქვას, სხ თუმანად შეგასრულეთ.

წერილი დედაქ. მიმართ

ბ-ნო რედაქტორ! ამასთანავე გირგებთ 4 მ. და 70 კ. ჩემი ნაწილობით შორის შეტრიალი ქართული თეატრის აღსადგენ თანხის გასაძიებლად. შემოსწორეს: ათ-ათი შუური — ივ. შუბაშვილი, ილ. მისაძე, ი. დღობანიძე, მ. ტუშუაშვილი და ს. მანუჩიძე; თითო ანაზი — ივ. და დავ. ბიბილაშვილი, პეტრე, ს. ბიბილაშვილი, ი. კუპრიძე, დამარულიაშვილი, ი. დონაძე, ლ. კერაძე და ა. ხოსროშვილი; ექვსი შუური — მ. ნათაშვილი, ესტ. კობერიძე — 10 კ.

არჩილ გორგაძე

წ ვ რ ი ლ ი ა მ გ ე ბ ე ბ ი

საზოგადო კრება ქართ. დრამ. საზოგადოების შესადგენი ლეხაშვილის 12 სათნო „ახალი კლუბის“ დარბაზში. განახილვით: 1) 1913-14 წ. სეზონის ანგარიში; 2) მდგომარეობა და მომავალი წლის სეზონის ხარჯთაღრიცხვა; 3) ახალი წევრების მიღება; 4) ახალი თეატრის აღმშენებელ კომიტეტის არჩევა — დამტკიცება.

ღრამბ. საზოგადოებაში წევრად ჩაწერისათვის საჭიროა 3 მან.

ზოგიერთ ქართველ ძალს განუზრახავს ქართული თეატრის ვარდობისთვის ერთი რომელიმე ტანისამოსი შეტრიალის თვის ხარჯი და თეატრის შესწირის. სასურველია ყველა ასეთმა კეთილმოქმედმა წინადადეგებულმა გეგმა-ნახატი შესაფერის ტანისამოსი შეტრიალოს. საჭირო ცნობისათვის მსურველ ქვემოთქმულ შეუძლიან მიმართონ ქართ. დრამ. საზ. გამგეობის თავმჯდომარეს თვ. პ. ი. თუმანიშვილს (განთვის ქუჩა, სკ. სახ. № 21), თავმჯდომარის ამხანაგს თ. ნ. დ. ერისთავს (ბებუთოვის მ., № 34) და გამგეობის მდივანს იოსებ გელაგანიშვილს (ყვანჯილავის ქუჩა № 8).

ქართული თეატრის მართვის გამოსაკეთებლად უკვე მცადონიშნავს შეუდგა ქ-ნი ნინო ყიფიანისა, მაგრამ ოპონირების გამო საქმის განხორციელება ჯერ-ჯერობით შეუძლებელია.

პს. ბაბუშიძე, რომელიც საკატორლოდ ქუთაისის იყო, უკვე თბილისის დაბრუნდა.

ახალგაზრდ მხატვრობის ნ. გვარამიას თაოსნობით დასავლეთ საქართველოსკენ გაემგზავრნენ წარმოდგენების გასაძიებლად.

ს. შიშინაძე უკვე დაასრულა თავისი ახალი პიესა „სულიგანი“.

მუხრან-მთარბნელმა დავ. მისხმა თავის მიერ ნათარგმნი პიესების ჰომორაბი (წლიურად 30 მანეთამდე) ქართ. თეატრის ასაშენებელ ფონდის გასაძიებლად გადასდო ყველამ ვინც კი წარმოადგენს დ. მესხის ნათარგმნი გადმოკეთებულ პიესას, კუთვნილი ჰომორაბი „თეატრი და ცხოვრების“ რედაქციის უნდა გამოუგზავნოს.

ი. გომეზაშვილი თავის მიერ ნათარგმნი პიესა ჰაუტმანის „სულით ოპონირ“, წარმოსადგენად ნებადართული, დრამ. საზ. გამგეობას შესწირა. ყველა ასეთმა შემომწირებელმა თავისი წვლილი ქართ. დრამ. საზოგ. გამგეობას უნდა გაუგზავნოს.

ღმ. ავალიანის სასალო თეატრში წარმოსადგენად დანიშნულია ირეთის „დამარცხებული“, აღდგომის ფასები 4—50 -დღე.

ნ. ავალიანისადმი გადასწვითავე თავის მიერ ნათარგმნი შილლერის პიესები „ჟანაღობი“, „ფიციკოს შეთქმულება“, „ვილჰელმ-ტალი“ და „მარიამ სტიურტი“ ცალკე-ცალკე წიგნებად გამოცემის და ხარჯს გარდა სრული შემოსავლი ქართ. თეატრის ასაშენებელ თანხს შესწიროს.

პირველი ჰომორაბი პირველი თვისი ნათარგმნი პიესის „იორიოს ასული“ იოსებ იმედაშვილი ქართ. თეატრის ასაშენებელ თანხის გასაძიებლად გადასცა.

პს. ღვინიაშვილი შემოიტანა 59 მან. და 75 კ. თბილისის ცენტრალურ ტელეგრაფის მონღელთა შორის შეტრიალი. შემომწირებელთა სიას შემდეგ ნომერში დაბეჭდვით

ქუთაისში

ქალაქი ქაშვილი

თბილისში

(წ.—33) —1

ექ. ვასტანგ ლამბაშიძის

სანატორიუმი

პატარა-ცემში, ბაკურიანის გზაზე
 ძალ-ვაშთათვის 8—15 წლამდე

დაწვრილებით პირობები მსურველთ გაეგზავნებათ ფოსტით მოთხოვნისათვისა თანავე.

მისამართი: თბილისი **ექ. ვ. ლამბაშიძე**
 ვარდისუბნის ქუჩ. № 9. (წ.)

იქიშვილი :

ა. ი. იაშვილი

(თბილისის საქალაქო 1-ლ ნაწილის მკურნალი)

შინაგან ჯავდმყოფობათა.

დილით 8—10 ს., საღამოთი 5—7 ს.
 წყნეთის ქ., № 19.

ქიქელიძე ალ. სოლოღაშვილი

იღებს ჯავდმყოფებს

დილით 9—2 სათ., საღამოს 5—7 სათ.
 ვოლოჯინის პრ., № 12.

ბ. დ. ლამბაშიძე

შინაგან და ბავშვთა ჯავდმყოფობათა.

ვარდის უბნის ქ. № 9.

გ. მ. თიქაძე

(თბილისის საქალაქო მკურნალი)

შინაგან სნეულებათა

დილით 12—1 ს., საღამოთი 5—5 ს.
 კიროვნი ქ. № 18

ზ. ა. მიქელაძე

შინაგან და ბავშვთა ჯავდმყოფობათა.

საღამოთი 6—7 ს.

მიხეილის პროსპ. № 117, ტელეფ. 8—16.

ბ. ვ. ნათიშვილი

ანისა, ვენერეული და სიფილისისა.

დილით 11¹/₂—1 ს., საღამოთი 6—7 ს.

მონუმენტის ქუჩ. № 5. ტელეფ. 4—87.

იოსებ იმედაშვილის გამოცემა № 51

სინათლე

ზღაპარი-ფერია 3 მ. და 7 ს. ი. **გელაშანიშვილისა**, ავტორის მოკლე ბიოგრაფიით, სურათებით და ექვსი ნახატი.

ზ. 30 კ. ათობლივ და ასობლივ ნაღზე მყიდველთ თითო წიგნი დაეთმობა 22 კ. ფასდაღებითაც ვაიგზავნება.

მისამართი: Тифлиси, ред. „Театри да Цховреба“—Юсифу Имедашვილი.

(11—11)

ახალი წიგნი

ლაქსები, სცენები და მოთხრობები

ა. მ. ანაზარდოვისა

ავტორის პორტრეტით, კრიტიკული წერილით და სხვა სურათებით. ფ. 60 კ. საწყობი ავტორთან—საპერის ქ., № 5, საკ. სახლი. წიგნით მოვაჭრეებს ჩვეულებრივი % დაეთმობა.

(6—11)

22 აგვისტ. გამოდის უოველდლიური საპოლიტ. და სალიტ. გაზეთი

ახალი აზრი

ბაჰეთი ღირს: 1 წლით—7 მ., 6 თვით—4 მ., 3 თვით—2 მ. 50 კ., 1 თვით თბ.—80 თბ. გარეთ—90 კ. საზღვარ გარეო—არჯერ მცტი.

კანტორის ადრესი: Тифлиси, Орбелиановская ул. № 36

ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Теодилу Марковичу Кекელიძე. Тифлиси, Орбелиановская ул., № 36.

სხვა ადრესით ფულს რედ. ვერი მიიღებს რედაქციის კან. პირდაპირ მოლაპარაკება შეიძლება დილ. 12—1 ს., საღ. 5—6 ს.

ურთაგა სალიტ.—საპოლ. და ეკონომიური გაზეთი გამოდის ორშაბათობით.

რედაქცია: გიმნაზიის ქ., 3. ფერაძის და ნ. კარნაუზოვის სტამბის სადგომში.

ბაჰეთის ღირსი: წლით—2 მ. 50 კ., ნახევარ წლით—1 მ. 25 კ., თვით—25 კ. ცალკე ნომერი 5 კ. საზღვარ გარეო არჯერ მცტი. ფული და წერილები მიიღება: Кутаиси, ред. еженед. груз. газеты „Шрома“

ს. სორაპანი „ს. სორაპანი“

დაიბეჭდა ქართული მწერლები და გამოვიდა მუდმივად

1. წიგნის მცირე რაოდენობისათვის ფასი 80 კ.

თბ. ქართ. დრამ. საზ. გამგეობის

თავმჯდომარე

ბ-ნთ წვერთა საყურადღებოდ აცხადებს, რომ კვირას, 26
ოქტომბერს, ნაშუადღევს 12 ს „ახალი კლუბისა“ დარბაზ-
ში დანიშნულია

ს ა ზ ო გ ა ღ ო კ რ ე ბ ა

განსახილველი სავნები:

- 1) ხარჯთ-აღრიცხვა 1913—14 წ.
- 2) 1914—15 წლის სეზონის წარმოება.

განსაკუთრებულ კომისიის არჩევა, რომელსაც დაეველება სა-
თეატრო შენობის აღდგენის საქმე.

ვინიადან ომიანიბამ ხე-
ლი შევიშალა, ამიტომ
ჯაჯუ ჯორჯიკია

თხზულვებათ პირველ ტომზე ხელის მოწერას ვაგაქმლებთ
ენკენსთავის ბოლო რიცხვებამდე. წინე ხელის მოწერით
ღირს ათი შაუჩი. ხელის მოწერის შესახებ მოლაპარა-
კება და ფულის გამოგზავნა შეიძლება ამ აღდგენით: ქუთაი-
ის უბრომისა რედქციოში გვგლა მებუკი, გამომცემლობა
(5—4)
ანარგებიან.

ხარფუსის ქართულ სახალხო წარმოდგენების

მმართველ წრის გამგეობა ამით აცხადებს, რომ კვი-
რას, 26 ოქტომბერს, 1914 წ, დღით 11 საათზე ხარ-
ფუსის სახალხო აუდიტორიაში დანიშნულია წლიური

ს ა ზ ო გ ა ღ ო კ რ ე ბ ა

განსახილველია შემდეგი სავნები: 1) წრის ანგარიშები

- 2) მოხსენება გამგეობისა შესახებ ეხლანდელი წრის მდგო-
მარეობისა; 3) გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრების
არჩევნები და სხვა მიმდინარე კითხვები.

ხარფუსის საზოგადო კლუბი

7 ოქტომბრიდან გადავიდა საზამთრო სადგომში, აბანოს ქუჩაზე

ტელ. 11 - 79

დღეს, კვირას
26 ოქტომბერს

პროყეკტორი, მუსიკა.

ორშაბათს
27 ოქტომბერს

პროყეკტორი.

სამშაბათს
28 ოქტომბერს

მუსიკა.

ოთხშაბათს
29 ოქტომბერს

საზანდარი.

ხუთ შაბათს
30 ოქტომბერს

მუსიკა; ცეკვა.

პარასკევს
31 ოქტომბერს

საზანდარი; პროყეკტორი.

შაბათს
1 ნოემბერს

ქარაული წარმოდგენა.

კვირას
2 ნოემბერს

მუსიკა; პროყეკტორი.

სტუმრები კლუბში შესასვლელად იხდიან მამაკაცები—25 კ., ქალები—10 კ. დასაწყისი
საღამოს 8 1/2 საათზე.

კლუბი ყოველმხრივ მოწყობილია.

კლუბში გაიმართება ლექციები, კონცერტები, წარმოდგენები, სამუსიკო, სალიტერ-
ატურო და ვოკალური საღამოები